დანართი №1

შპს კოლეჯი მესამე სამედიცინოს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ და „საექთნო განათლება“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

დავით კუპატაძე - თავმჯდომარე

თინათინ ბურძენიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

ხათუნა მაისაია - დარგის ექსპერტი - „საექთნო განათლება“

ნანა ვერულაშვილი - დარგის ექსპერტი - „ფარმაცია (სააფთიაქო)“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **კოლეჯი მესამე სამედიცინო**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **404935273**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

■ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**
- ☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2026 წლის 4 მარტს შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს მიერ წარმოდგენილი იქნა განაცხადები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „ფარმაცია (სააფთიაქო)" და ,,საექთნო განათლება" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ და საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები (ცენტრში რეგისტრაციის №259091 და №258956). ზემოაღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით, დაწესებულება იცვლის ადგილს/ფართს ქალაქ თბილისის ლოკაციაზე და გადადის ახალ მისამართზე (ქ. თბილისი, რაფიელ აგლაძის ქ.N 25ა), რომელიც დაწესებულების მიერ აქამდე არ იყო გამოყენებული ავტორიზაციის მიზნებისთვის. აღნიშნულის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ, 2026 წლის 24 მარტს გამოცემული MES 3 26 0000351722 ბრძანების თანახმად შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ,,ბ.ბ" და ,,ბ.დ" კომპონენტთან, აგრეთვე დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ,,დ.ა" და ,,დ.ბ" კომპონენტთან და ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ,,ე.ა" და ,,ე.ბ" კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

წარმოების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტები ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულებასთან.

ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 22 და 23 აპრილს, დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის განრიგის დაცვით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შემოწმებული იქნა კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები. ასევე, გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. დარგის ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში გაესაუბრნენ პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებს, განმახორციელებლებს, პროფესიულ სტუდენტებს, ადმინისტრაციისა და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. შეაფასეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები. დაათვალიერეს მათი ფაქტობრივი მდგომარეობა და ფლობის დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, ადმინისტრაციამ უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ეტაპობრივი წარმოდგენა და დასაზუსტებელი საკითხების განმარტება.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საექთნო განათლება	100	85	19	8
ფარმაცია (სააფთიაქო)	40	30	5	3

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
4) ადამიანური რესურსები	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
ფარმაცია (სააფთიაქო)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
საექთნო განათლება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.2.1. დაწესებულებას, სახანძრო ჰიდრანტის მოწყობასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც აღწერილია 5.1.2.1 ინდიკატორის ფარგლებში.
<u>შესწავლილი დოკუმენტებით და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. აქედან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია შეასრულოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები განსაზღვრულ ვადაში.</u>

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N9 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2026 წლის 25 მარტი, ბრძანება №07-23/20) დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ II თავის თანახმად, კოლეჯის სტრუქტურა დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 28 იანვარს N3 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2024 წლის 30 იანვრი, ბრძანება №02). დაწესებულების სტრუქტურული/საშტატო ერთეულებია: დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ბუღალტერი; IT მენეჯერი; ბიბლიოთეკარი; ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი; სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; პრაქტიკის მენეჯერი; ოფისის მენეჯერი; შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი; პროგრამის ხელმძღვანელი; ექთანი; დამლაგებელი; კომენდანტი და პროფესიული განათლების მასწავლებლები. კოლეჯის უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირია დირექტორი, რომელსაც ექვემდებარება დირექტორის მოადგილე და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. კოლეჯის „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“ განსაზღვრულია თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები, სადაც ჩანს პოზიციებს შორის კოორდინაციის საკითხი, დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება/პასუხისმგებლობა. ექსპერტთა შეფასებით დაცულია დაწესებულებაში არსებული იერარქიული ბალანსი, შესაბამისობაშია თანამდებობრივი დაქვემდებარებისა და ფუნქციების განაწილების სისტემა, ანგარიშვალდებულებებისა და ანგარიშგების საკითხები, არ იკვეთება დუბლირებული ფუნქციები და ფუნქცია-მოვალეობების არასწორი გადანაწილება.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

კოლეჯის „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ მიხედვით სტრუქტურულ ერთეულებს შორის განაწილებული ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს ყველა იმ თემას, რომელიც კოლეჯის ძირითადი საქმიანობის განხორციელებასა და მიზნებს უკავშირდება. აღნიშნული დასტურდება როგორც თანამშრომლებთან გასაუბრებით, ასევე კოლეჯის სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებში მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრით.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ერთი საშტატო ერთეული - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია დირექტორის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ მე-9-ე მუხლში, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს კოლეჯში მიმდინარე სხვა პროცესების მართვაში ჩართულ ადმინისტრაციულ ერთეულებთან და დასტურდება დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ხარისხის სამოქმედო გეგმებით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის სტრუქტურა;
2. საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება;
3. კოლეჯის პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები;
4. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 19 თებერვლის №7 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2026 წლის 25 მარტი, ბრძანება №07-23/20) დამტკიცებულია „შრომის შინაგანაწესი“, რომელიც არეგულირებს თანამშრომელების უფლება-მოვალეობებს, სამსახურებრივი ქცევის სტანდარტებს, სამსახურში მიღებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების წესებს, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადენილ მოთხოვნებთან. შრომის შინაგანაწესი გაცნობილია კოლეჯის ყველა თანამშრომლის მიერ და გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე, ასევე განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე. დაწესებულებას 2023 წლის 4 ნომებრის №66 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 30 დეკემბრი, ბრძანება №173) დამტკიცებული აქვს „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, სადაც გაწერილია დასაქმების მსურველთა შერჩევისა და სამსახურში აყვანის წესი, სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, შრომითი ურთიერთობების შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები, დასაქმებულის უფლებები, მოვალეობები და ვალდებულებები. „შრომის შინაგანაწესი“ მოიცავს დასაქმებულის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის, წახალისებისა და დაწინაურების წესს. დოკუმენტში მოცემულია დისციპლინური პასუხისმგებლობის წარმოშობის, გაქარწყლებისა და ვადაზე ადრე მოხსნის საკითხები. „შრომის შინაგანაწესით“ დარეგულირებულია დასაქმებულისთვის შვებულების, მივლინების და ზეგანაკვეთური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამუშაოს შესრულების მექანიზმები. დოკუმენტაციის შესწავლის და ინტერვიუირების შედეგად ირკვევა, რომ კოლეჯში დასაქმებული პირები იცნობენ შინაგანაწესს და იღებენ ინფორმაციას მასში შეტანილი ცვლილებების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

დაწესებულების „შრომის შინაგანაწესი“-ს მესამე მუხლი არეგულირებს სამსახურში მიღების წესს, რის მიხედვითაც ვაკანტურ პოზიციაზე თანამშრომელი მიიღება ღია კონკურსის საფუძველზე ან კონკურს გარეშე. მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა შესაბამისობის გეგმის შესრულება. დაწესებულებამ წარმოადგინა „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, სადაც დეტალურად არის გაწერილი პერსონალის შერჩევის მექანიზმები და პროცედურები, კონკურსის ჩატარების დეტალები და პერსონალის დანიშვნის წესი, პერსონალის ინტეგრაციის პროცესი ახალ სამუშაო გარემოსთან, ასევე აღწერილია პერსონალის ჩართულობა და მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობებში. ამასთან, დოკუმენტი მოიცავს ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების საკითხებს და განსაზღვრულია პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები. პერსონალის სამსახურში აყვანა გათვალისწინებულია, როგორც კონკურსით (ღია, დახურული), ასევე კონკურსის გარეშე. „შრომის შინაგანაწესსა“ და „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტით განსაზღვრული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების მტკიცებულებების შესწავლის მიზნით, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაეცნენ ორივე შემთხვევის მიხედვით აყვანილი სხვადასხვა თანამშრომლის დოკუმენტაციას - კონკურსის გამოცხადებიდან/წარდგენიდან, ხელშეკრულების გაფორმებამდე. კონკრეტულად კი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად, დაწესებულების მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიები. ასევე, საკონკურსო კომისიის მიერ წარმოდგენილი განაცხადების განხილვისა და შერჩევის საკონკურსო ოქმები. ექსპერტთა ჯგუფმა პრაქტიკის შესწავლის მიზნით დაადგინა, რომ თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები განსაზღვრავს შრომის არსებით პირობებს და შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“ გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობებთან და პირადი საქმის წარმოების წესით დადასტურებულია ყველა დოკუმენტის არსებობა.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

კოლეჯში დამტკიცებული შესაბამისი დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები, სადაც მითითებულია თითოეული პოზიციისთვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნა. კოლეჯში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, რაც დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეების შესწავლითა და გასაუბრებით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტებით დგინდება, რომ დაწესებულებაში მოქმედებს სხვადასხვა მიზნობრივი სამუშაო ჯგუფები, მათ შორის პერსონალის შერჩევის კომისია, ინვენტარიზაციის კომისია. კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფები, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისათვის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი და სხვ. ასევე სამოქმედო გეგმით დგინდება, რომ ზოგიერთი ამოცანის შესრულებაში რამდენიმე პირია ჩართული, რაც გუნდური მუშაობის პრინციპის დაცვას მოითხოვს. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრებით იკვეთება, რომ მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის წესი კოლეჯში დამკვიდრებული პრაქტიკაა.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის სტრუქტურა;
2. საგანმანათლებლო დაწეებულების მარეგულირებელი დებულება;
3. შრომის შინაგანაწესი;
4. კოლეჯის პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები;
5. კოლეჯის პერსონალის პირადი საქმეები;
6. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
7. პერსონალის შერჩევის კომისიის სხდომის ოქმები;
8. პერსონალის მართვის პოლიტიკა

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.
კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 28 სექტემბრის №35 (ბოლო ცვლილება 2026 წლის 25 მარტი, №07-23/20) ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის შეფასების წესი“, რომელიც გულისხმობს ე.წ. „360 გრადუსიანი“ შეფასების სისტემის გამოყენებას და მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს: პოზიციის შესაბამისი კომპეტენცია; შესრულებული სამუშაოს ხარისხი; შემოქმედებითი/კრეატიული მიდგომა; დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი; ერთდროულად სხვადასხვა საქმის შესრულების უნარი; დეტალებზე ორიენტირებულობა; სამუშაოს დროულად შესრულება; დაკისრებული სამუშაოს მოცულობისათვის დამოუკიდებლად თავის გართმევის უნარი; კომუნიკაციის უნარი; გუნდური მუშაობის უნარი; სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი; საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი; პუნქტუალობა და დროის ეფექტური მართვის უნარი; ცვლილების სწრაფად აღქმის უნარი. დაწესებულებამ წარმოადგინა პესონალის შეფასების შედეგები, სადაც უშუალო უფროსი 5 ბალიანი შკალით აფასებს თავის დაქვემდებარებულ პირს. ექსპერტთა ვიზიტის დროს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერმა წარმოადგინა სამსახურებრივი ბარათი და ჩატარებული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კვლევის თანახმად გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაციული პერსონალი არ საჭიროებს დამატებით გადამზადებას და გაძლიერებას პროფესიულ უნარ-ჩვევების ნაწილში, შეფასებულნი არიან უმაღლესი ქულით და უზრუნველყოფილი არიან სამუშაოს შესრულებისათვის ყველა საჭირო რესურსით. კვლევის თანახმად, მასწავლელები უზრუნველყოფენ გამჭირვალე, სამართლიან და ობიექტურ შეფასებას. მათი ნაწილი კოლეგებთან თანამშრომლობით მონაწილეობს ვალიდური ინსტრუმენტების შემუშავებაში, შეუძლია შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კოლეგებთან თანამშრომლობა და მათი მხარდაჭერა, იცნობენ და ითვალისწინებენ ინკლუზიური განათლების პრინციპებს, რაც უზურნველყოფს სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევას, თანასწორობით და სამართლიანობის პრინციპით. პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ კოლეჯი პერიოდულად ახორციელებს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებას. მიღებული შედეგების საფუძველზე იგეგმება შესაბამისი განმავითარებელი ღონისძიებები, მათ შორის ტრენინგები, გადამზადება და წახალისების მექანიზმები, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა უნარების გაუმჯობესებას და სასწავლო პროცესის სრულყოფას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.
დაწესებულებას წლიური სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრული აქვს პერსონალის საჭიროებათა კვლევა და მიღებული შედეგების მიხედვით პერსონალის განვითარების ღონისძიებების განხორციელება. 2024-2025 წლის საჭიროების კვლევის საფუძველზე დაწესებულებამ 2025 წლის დეკემბერში უზრუნველყო ტრენინგი თემაზე „თვითშეფასების სტრატეგიები და რეფლექსიის პრაქტიკა“. დაწესებულებამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერის მიერ შედგენილი თანამშრომელთა გადამზადების გეგმა. დაწესებულების წარმომადგენლები განმარტავენ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომ მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების საჭიროებათა გამოვლენასა და მიზანმიმართულ განვითარებაზე, რის დასტურადაც წარმოადგინეს სხვადასხვა მტკიცებულებები, მათ შორის თანამშრომელთა მივლინების ბრძანება, ანაზღაურებული ხარჯების დოკუმენტაცია, ტრენინგში მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია და ტრენინგზე მონაწილე თანამშრომლის მიერ ჩატარებული რეპლიკაციის მტკიცებულებები.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულები არიან როგორც დაწესებულების, ასევე ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, რაც დასტურდება პერსონალთა წარმოდგენილი პირადი საქმეებით. დაწესებულების წარმომადგენლების ინტერვიურებით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

დაწესებულების მიერ შემუშავებული „პერსონალის მართვის პოლიტიკის“, მე-4 მუხლი განსაზღვრავს ახალი კადრის საჭიროებას, ანალიზს, შერჩევას და დაქირავებას. ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებას აქვს დამკვიდრებული მიდგომა, რაც გულისხმობს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის მიერ, ახალი თანამშრომლისთვის შესაბამისი მხარდაჭერის გაწევას. ექსპერტები გაესაუბრნენ უკანასკნელ პერიოდში დასაქმებულ რამდენიმე პირს, რომლებმაც დეტალურად აღწერეს მათი სამუშაოზე აყვანისა და სამუშაო სივრცეში დაუბრკოლებლი ინტეგრაციის პროცესი და გამოხატეს კმაყოფილება დაწესებულების პერსონალის მიმართ.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, სადაც მე-9 მუხლში გაწერილია პერსონალის შენარჩუნება და წახალისება. კოლეჯში დასაქმებულთა წახალისება ხდება შეფასების შედეგების, თანამშრომლის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის. კოლეჯის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების სახეები, რომლის ერთ-ერთ ფორმად შესაძლოა გამოყენებულ იქნას წარმატებული პერსონალის შესახებ ინფორმაციის განთავსება კოლეჯის ვებ-გვერდზე. პერსონალის წახალისების ფორმას განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლის გაცნობას უზრუნველყოფს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, ბრძანების გამოცემიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში პირადად/სატელეფონო შეტყობინებით, სოციალური ქსელის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით. აღნიშნული მექანიზმის შესწავლის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერისათვის ფასიან ტრენინგში მონაწილეობის ბრძანება, ასევე მიმდინარე წლის აპრილის თვეში ორ მასწავლებელს, პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაუფინანსდა ტრენინგში მონაწილეობა.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პერსონალის შეფასების წესი;
2. კოლეჯის პერსონალის შეფასების მტკიცებულებები;
3. პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;
4. კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
5. კოლეჯის პერსონალის განვითარების მტკიცებულებები;
6. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
7. შრომის შინაგანაწესი;
8. კოლეჯის პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები;
9. პერსონალის მართვის პოლიტიკა;
10. კოლეჯის პერსონალის პირადი საქმეები;
11. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.
დაწესებულება - შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო პროფესიულ პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ერთ მისამართზე - რაფიელ აგლაძის N25ა. აღნიშნულ მისამართზე ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე (გაფორმების თარიღი - 2026 წლის 12 იანვარი, მოქმედების ვადა - 2029 წლის 1 სექტემბრამდე) ავტორიზაციის ვადით სარგებლობაში აქვს: შეწობა-ნაგებობა N1-ში საერთო ფართი 782.57 კვ.მ (მათ შორის I სართულზე 313.74 კვ.მ, II სართულზე 468.83 კვ.მ) და ნაგებობა N2 ფართით 5.83 კვ.მ. საიჯარო ვადა შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრულია 2029 წლის 1 სექტემბრამდე.
ექსპერტთა მიერ მოხდა სასწავლო ფართის დათვალიერება, კერძოდ:
N1 შენობის პირველი და მეორე სართულზე ფოიეები/სასწავლო/ადმინისტრაციული ფართი კეთილმოწყობილია და აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით, სადაც განთავსებულია სამედიცინო სივრცე, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი, A, B, C სასწავლო გარემო, მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო სივრცე, პროფესიულ სტუდენტთა შემოქმედებითი სივრცე. სანიტარიული კვანძები მოწყობილია დაწესებულების პირველ და მეორე სართულზე, სანიტარიული კვანძები ადაპტირებული შშმ პირთათვის მოწყობილია მეორე სართულზე. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულებაში არსებობს პანდუსი. შენობას აქვს საევაკუაციო გაგასვლელები. შენობაში დამონტაჟებულია ვიდეოსათვალთვალო კამერები და სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე, გამართული სისტემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით ადმინისტრაციული სივრცის, სამუშაო ოთახების და სასწავლო აუდიტორიების ფართობი, განლაგება და მოწყობა შეესაბამება დანიშნულებას, მომუშავე პირების და ჯგუფში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობას. დაწესებულებას სარგებლობაში გააჩნია თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი - შენობა-ნაგებობები, აღჭურვილობა (ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა), აპარატურა, სასწავლო გარემო (A, B, C გარემო), ინვენტარი და ინფრასტრუქტურა, პროგრამების მიხედვით, მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 4 დეკემბრის №67 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“ მე-3 პუნქტი არეგულირებს კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობას, რომლის მიხედვითაც „კოლეჯის თანამშრომელი დირექტორის მოადგილის, ხოლო პროფესიული სტუდენტი/მსმენელი აგრეთვე პროფესიული განათლების მასწავლებლის ან/და ადმინისტრაცის წევრი შესაბამისი პირის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ უფლებამოსილი არიან გამოიყენონ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ბიბლიოთეკა, A, B, C გარემოს შესაბამისი და სხვა სასწავლო რესურსები სწავლებისა და მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის; კოლეჯის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უფლება აქვთ ისარგებლონ კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით; კოლეჯის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უფლება აქვთ ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსებით კოლეჯის საქმიანობის მარეგულირებელი დებულებისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესაბამისად; კოლეჯის თანამშრომლები და პროფესიული სტუდენტები/მსმენელები უფლებამოსილნი არიან, ლექციებს შორის შესვენების პერიოდში, დასვენებისთვის ისარგებლონ შენობაში არსებული ფოიეთი, იქ მოწყობილი მოსასვენებელი ადგილებით, რომელიც აღჭურვილია გართობის სხვადასხვა საშუალებებით (მათ შორის ჭადრაკი, დომინო და სხვა ინვენტარით), შემოქმედებითი საქმიანობისათვის ეზოში მოწყობილი შესაბამისი სივრცეებით, სველი წერტილებით, გათბობისა და გაგრილების სისტემით.

დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული „პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის - სერვისების შეფასების ანგარიშიდან“ დასტურდება, რომ მატერიალურ, ადამიანურ და სასწავლო რესურსებს დადებითად აფასებს გამოკითხულთა უმრავლესობა. პროფესიული სტუდენტები მიიჩნევენ, რომ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, მასალა ნედლეული კოლეჯის ბაზაზე ხელმისაწვდომია და საკმარისია ჯგუფში არსებული ყველა სტუდენტისთვის. მათ აქვთ შესაძლებლობა საჭიროებისამებრ გამოიყენონ ინტერნეტი და კომპიუტერული ინფრასტრუქტურა. აღნიშნულს ადასტურებენ პროფესიული სტუდენტები და სევე გამოთქვამენ კმაყოფილებას ახალ სასწავლო გარემოსთან მიმართებითაც.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

კოლეჯში, შიდა და გარე სივრცეების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, დასაქმებულია სერთიფიცირებული დამლაგებელი. აღნიშნული პირი, მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებისა და სამუშაო აღწერილობის მიხედვით, უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე სისუფთავისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას და ახორციელებს სხვა მიმდინარე დავალებებს. ანგარიშვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში კომენდანტის, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, დირექტორის მოადგილისა და კოლეჯის დირექტორის წინაშე დაწესებულების სტრუქტურის შესაბამისად აღმავალი ხაზის მიხედვით. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სველი წერილების დასუფთავების აღრიცხვის მონიტორინგი - რომელშიც მოცემულია დასუფთავების ჩატარების თარიღი, დრო და შემსრულებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმოწერა. დათვალიერების შედეგებით, კოლეჯის შესაბამისი სივრცეები მოწესრიგებულია, სველი წერტილები მარაგდება ცხელი და ცივი წყლით, დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები და აღჭურვილია ჰიგიენური საშუალებებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია წყალმომარაგების საგადასახადო ანგარიშფაქტურები.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

დაწესებულება სრულად აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რომლის გამართულობა და ფუნქციონირება დასტურდება როგორც ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებით, ასევე პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მოხმარებული გაზის საგადასახადო ანგარიშფაქტურები.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის №87 ბრძანებით დამტკიცებულია „შრომის უსაფრთხოების მექანიზმები“ რომელიც არეგულირებს კოლეჯის პერსონალის, სტუდენტებისა და ვიზიტორების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს, თითოეული მხარის პასუხისმგებლობას, მოვალეობებს, რისკების შეფასებისა და პროცესების მართვის მიდგომებს. შრომის უსაფრთხოების მიმართულებით, კოლეჯი იღებს ვალდებულებას დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და წესები. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის №3 ბრძანებით დანიშნულია შრომის უსაფრთხოების სერთიფიცირებულის სპეციალისტი, რომელსაც ბრძანებით დავალებული აქვს შრომის უსაფრთხოების პროცესების დაგეგვა და მართვა, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის ზედამხედველობა, შრომის უსაფრთხოების სავალდებულო დოკუმენტაციის წარმოება და დასაქმებულთათვის პერიოდული ინსტრუქტაჟის ჩატარება. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგა გასაუბრება შრომითი ხელშეკრულებით აყვანილ შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებულ სპეციალისტთან, რომელიც შრომის უსაფრთხოების პროცედურებს ახორციელებს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მის მიერ წარმოდგენილ იქნა საევაკუაციო სწავლების ანგარიშები, რისკების შეფასების დოკუმენტი, ინსტრუქტაჟის გავლის შევსებული ჟურნალები და სხვ.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

კოლეჯის „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ 23-ე მუხლით განსაზღვრულია კოლეჯის ფუნქციონირებისთვის მასალებისა და ნედლეულის შესყიდვა, შენახვა და გამოყენების წესები. დოკუმენტის თანახმად, კოლეჯში სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის შესყიდვაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორის მოადგილე, რომელიც დირექტორთან შეთანხმებით და ბუღალტერთან კოორდინაციით უზრუნველყოფს აღნიშნული პროცედურის განხორციელებას. მოდულის ფარგლებში პროფესიული მასწავლებლისათვის გადაცემული მასალა-ნედლეული აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში. პროგრამით განსაზღვრული შესაბამისი კომპონენტის დასრულების შემდეგ ხდება გახარჯული მასალის ანგარიშგება, რასაც ადასტურებს კოლეჯის ბუღალტერის მიერ ექსპერტებისთვის წარმოდგენილი დოკუმენტები, მათ შორის, მასალა-ნედლეულის შესყიდვის ზედნადებები. კოლეჯის მიერ დადგენილია სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების/პროდუქტების შენახვისა და განკარგვის წესები. კოლეჯის „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ 23.3. მუხლში გაწერილია სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია. რომლის თანახმად, სასწავლო პროცესის მსვლელობისას ნარჩენების შეგროვებასა და უტილიზაციაზე პასუხისმგებელი პირი არის მოდულის განმახორციელებელი პირი. სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ-ტექნოლოგიურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია მომსახურების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შემსრულებელი კომპანია ვალდებულია მოახდინოს კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული სახიფათო ნარჩენების გატანა და უტილიზაცია კვირაში არანაკლებ 2-ჯერ. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 30 აპრილი. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამის კომპანიაში გაგზავნილი წერილი ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მოცემული სერვისით სარგებლობის მტკიცებულებაც და ნარჩენების მართვის აღრიცხვის მოქმედი ჟურნალიც. აღნიშნული წესის გამოყენებისა და გამოკითხვის შედეგების დადასტურების მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება და მასალა-ნედლეულის შესყიდვების, აღრიცხვისა და მათი ჩამოწერის/უტილიზაციის დოკუმენტების შესწავლა. ასევე, პროგრამების განმახორციელებლებისა და პროფესიული სტუდენტების მიერ ინტერვიუებისას დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესისთვის მუდმივად უზრუნველყოფილია მასალა-ნედლეულის შეუფერხებელი მიწოდება.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ 46-ე მუხლში გაწერილია ხარისის განვითარების მექანიზმები, რომლის მიხედვითაც, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის სასწავლო პროცესის დაგეგმვის/განხორციელების პროცესისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი დგინდება განსახორციელებელი პროგრამების საჭიროებების შესაბამისად. შემოწმებას ექვემდებარება სასწავლო ფართი (აუდიტორიების აღჭურვილობა, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი და სხვ.) და ინვენტარი, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (შევსება-განახლება, მოდულებში მითითებულ ლიტერატურასთან შესაბამისობა), კომპიუტერული ტექნიკა (არსებობა, გამართული მუშაობა, განახლების საჭიროება, ხელმისაწვდომობა პროფესიული სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის და სხვ.), საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ინტერნეტი, შიდა ქსელი, სათანადო კომპიუტერული პროგრამებით აღჭურვა და სხვ.), ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის მონიტორინგის კოორდინაციას დირექტორის მოადგილის ჩართულობით. შედეგების ანალიზი დასკვნის სახით ეცნობება დირექტორს. შეფასების მექნიზმებია: კოლეჯის დირექტორის მოადგილისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსის საკმარისობა და რელევანტურობა, რაც ხორციელდება წელიწადში არანაკლებ ერთხელ. შესწავლის შედეგების საფუძველზე, რესურსების განახლებას უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორის მოადგილე. კოლეჯის რესურსებით პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევას ახორციელებს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

დაწესებულების ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დგინდება, რომ შენობაში მოწყობილია სანიტარული კვანძები, გამიჯნული - ქალებისა და მამაკაცებისთვის. სანიტარიული კვანძები ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. სანიტარული კვანძები მუდმივად მარაგდება ცხელი და ცივი წყლით, სათანადოდ მოწესრიგებულია და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ერთჯერადი ხელსახოცები, თხევადი საპონი და ა.შ). სანიტარიული კვანძები უზრუნველყოფილია უწყვეტი განათებით და ვენტილაციით. ექსპერტთა შეფასებით მათი რაოდენობა, სან.ტექნიკური და სან.ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დაწესებულებაში არსებული სანიტარული კვანძებით და პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლოებებით, კმაყოფილება დასტურდება როგორც ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგებით ასევე მათთან გასაუბრების დროსაც.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.
დაწესებულების სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, ბიბლიოთეკას და საერთო სივრცეებს აქვთ როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც დადასტურდა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზუალური დათვალიერებით.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.
დაწესებულების სივრცეები გამიჯნულია და იმგვარადაა განლაგებული, რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებისთვის გამოყოფილია შესაბამისი სივრცეები. დაწესებულებაში არ არის ერთმანეთში გამავალი სასწავლო ან სამუშაო სივრცეები. დაწესებულების ტერიტორიაზე (ეზოში) გამოყოფილია სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ კეთილმოწყობილი და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სივრცე, სადაც მათ აქვთ შეუფერხებლად მუშაობის შესაძლებლობა. საარქივო დოკუმენტებისთვის გამოყოფილია ცალკე სივრცე. ექსპერტებთან გასაუბრებისას ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, განმახორციელებლებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.
დაწესებულებაში საბიბლიოთეკო მომსახურებას ახორციელებს ბიბლიოთეკარი. მისი ფუნქცია მოვალეობები გაწერილია საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელ დებულებაში. აღნიშნულ დოკუმენტში ასევე გაწერილია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი, ბიბლიოთეკაში გაწევრიანების წესები, მკითხველის ვალდებულებები, საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია საბიბლიოთეკო სივრცეში თვალსაჩინო ადგილზე. საგანმანათლებლო რესურსები არსებობს მატერიალური და ელექტრონული სახით, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის გარდა, კოლეჯის საბიბლიოთეკო სერვიში შესაძლებელია ასლის გადაღება და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა. პროფესიულ სტუდენტებს კოლეჯის ვებ-გვერდის საშუალებით წვდომა აქვთ კოლეჯის ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსზე. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის, ვიზუალური დათვალიერების და ბიბლიოთეკართან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და ხელმისაწვდომია მომხმარებლისათვის.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
2. შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;
3. იჯარის ხელშეკრულება;
4. საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება;
5. მატერიალური რესურსების განკარგვის წესი;
6. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება და სერტიფიკატი;
7. ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
8. გასაუბრების და დათვალიერების შედეგები.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.**

დაწესებულების „შინაგანაწესის“ 27-ე მუხლით დარეგულირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო/სასწავლო გარემოს უფლება, რომლის ძირითადი მიზანია დაწესებულებამ უზრუნველყოს დასაქმებულის/სტუდენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო/სასწავლო გარემო. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, 2026 წლის 16 იანვარს გაცემული შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დასკვნა. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ვარგისია ექსპლუატაციისათვის. დერეფნებში განთავსებულია ცეცხლმაქრები, გამოკრულია საევაკუაციო გეგმები და ცხელი ხაზის ნომერი, სასწავლო ფართი სრულად უზრუნველყოფილია საევაკუაციო გასასვლელებით.

დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა, 2026 წლის 26 მარტს გაცემული, სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი, რომლის მიხედვითაც დაწესებულების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება (შენობიდან 200 მეტრის რადიუსში არ არის განთავსებული ჰიდრანტი) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს, კერძოდ, **სახანძრო ჰიდრანტი მისი განთავსების ადგილმდებარეობის გამო (ობიექტამდე დაცილებით) არ აკმაყოფილებს ტექნიკური რეგულირების დოკუმენტებით გათვალისწინებულ პირობებს.** აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმის თანახმად, სამუშაოს შესრულების დროდ განსაზღვრულია 6 თვე **(დაწყების თარიღი - 2026 წლის 17 მარტი და დასრულების თარიღი - 2026 წლის 17 სექტემბერი)**. დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ჰიდრანტის მოწყობის პროცესი დამოკიდებულია გარე უწყებებთან კოორდინაციაზე, თუმცა დაწესებულება უზრუნველყოფს პროცესის დროულ მართვას და კონტროლს, რა პროცესიც უკვე დაწყებულა. კერძოდ, 2026 წლის 17 მარტს ფართის მესაკუთრემ მიმართა განცხადებით GWP-ს (განცხადების ნომერი: IN26-1205134) და გამოთხოვილ იქნა დოკუმენტი - წყალმომარაგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტექნიკური პირობა (წყალმომარაგება სახანძრო ჰიდრანტისთვის), GWP-ს მიერ ასევე მოწოდებული იქნა სიტუაციური ნახაზი და ახალი მიერთების პირველადი მოკვლევის ცნობა, რომლითაც დგინდება, რომ აღნიშნული ობიექტს საკუთარ ტერიტორიაზე შეუძლია ჰიდრანტის მონტაჟი დამატებითი ნებართვების გარეშე. ამ ეტაპზე კი, მიმდინარეობს პროექტირება. დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერთებთან წარმოადგინეს სახანძრო ჰიდრანტის მოწყობის ხარჯთაღრიცხვა (2026 წლის 20 აპრილი). ექსპერტთა მიერ ***შესწავლილი დოკუმენტებით და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი. აქედან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია შეასრულოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები განსაზღვრულ ვადაში.***

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად შესაბამისია.

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

დაწესებულებაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს არეგულირებს „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულიების“ 22-ე მუხლი და დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 5 ივნისის №32 (ბოლო ცვლილება 2022 წლის 21 ოქტომბერი, ბრძანება №44) ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“, რომლის მიხედვითაც, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისთვის კოლეჯში განსაზღვრულია ექთანი. დოკუმენტში გაწერილია მისი ფუნქცია-მოვალეობები, კერძოდ ექთნის მოვალეობაა - კოლეჯის პერსონალის და სტუდენტებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების (112) გამოძახება, ექთანი აწარმოებს პირველადი დახმარების აღმოჩენის რეგისტრაციის ჟურნალს. „შპს კოლეჯი მესამე სამედიცინოს საგანგებო მართვის გეგმის“ შესაბამისად, პირველად სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელ პირად, დირექტორის 2026 წლის 26 თებერვლის №07-23/10 ბრძანებით დანიშნულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი 3 პირი, რომელთაც ამავე ბრძანებით დავალებული აქვთ - საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინონ ნებისმიერ პირს; უზრუნველყონ პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთ(ებ)ის შიგთავსის რეგულარული კონტროლი და მათი დროული შეფასება. კოლეჯის მეორე სართულზე არის სამედიცინო ოთახი, რომელიც აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი სამედიცინო ინვენტარით (წნევის საზომი აპარატი, თერმომეტრი, ჰიგიენის ნივთები და სხვა). კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ექთნის ტელეფონის ნომერი და ასევე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ნომერი (112).

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 26 თებერვლის № 07-23/12 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს კოლეჯი მესამე სამედიცინოს საგანგებო მართვის გეგმა“, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს. ასევე, მოსამსახურეების, მოსახლეობის, მატერიალური ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას. გეგმაში გაწერილია საგანგებო სიტუაციაში შესასრულებელი მოქმედებების თანმიმდევრობა და პასუხისმგებელი პირები. გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს, თანამშრომლების, სტუდენტების და მატერიალურ ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას. კოლეჯში შექმნილია საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების შტაბი/ჯგუფი. კოლეჯი უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობას ყველა სტუდენტისათვის და თანამშრომლისთვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. კოლეჯის შენობაში გამოკრულია სათანადო სტანდარტების შესაბამისი საევაკუაციო გეგმები, კოლეჯი აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილია ტერიტორიაზე დასაქმებულთა უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების უზრუნველყოფის მიზნით ზედამხედველი ჯგუფი და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. დაწესებულების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გასაუბრებით და ასევე დიკუმენტაციით დგინდება, რომ წელიწადში ორჯერ ყველა პროცედურის დაცვით ტარდება იმიტირებული ევაკუაცია.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დაწესებულების შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი კამერები, ფუნქციონირებს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა. იმ სივრცეებში, სადაც მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი, განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშნები. კოლეჯის „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“, განსაზღვრულია უსაფრთხო სამუშაო გარემოსა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი - კომენდანტი. ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დგინდება, რომ აღნიშნული პოზიცია ამ ეტაპზე ვაკანტურია, შესაბამისად „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“ განსაზღვრული კომენდატის უფლება-მოვალეობების შესრულება არსებული პოზიციის ვაკანტურობის გამო დავალებული აქვს სტრუქტურულად მის ზემდგომ პირს - დირექტორის მოადგილეს. შესაბამისად, ვიდეო კონტროლის სისტემის მუშაობის მონიტორინგს ახორციელებს კოლეჯის დირექტორის მოადგილე, ამოწმებს საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობას, აკონტროლებს შენობაში პირთა მოძრაობას და ზრუნავს წესრიგის დაცვაზე. დაწესებულების მხრიდან დამატებით წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტები, რომლითაც დაწესებულება უზრუნველყოფილია მაღალი გარჩევადობის თანამედროვე სათვალთვალო სისტემით.

წარმოდგენილი დოკუმენტებით, ვუზუალური დათვალიერებით და გასაუბრებით, ექსპერთა შეფასებით დგინდება, რომ დაწესებულების მთელ პერიმეტრზე და ორივე სართულზე უზრუნველყოფილია წესრიგის დაცვია და შექმნილია უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემო.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სახანძრო უსაფრთხოების, სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი;
2. დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ;
3. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
4. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
5. საგანმანათლებლო დაწეებულების მარეგულირებელი დებულება;
6. ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება, პირადი საქმე;
7. კოლეჯის პერსონათან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

დაწესებულების IT ინფრასტრუქტურა მოიცავს სხვადასხვა ტექნოლოგიურ საშუალებებს, რომლებიც განკუთვნილია როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციული საქმიანობისთვის. კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, ეკრანები, პრინტერები, სერვერები და სხვა მოწყობილობები უზრუნველყოფენ დაწესებულებაში სწავლებისა და ადმინისტრაციის შეუფერხებელ მუშაობას. დაწესებულებას აქვს როგორც სადენიანი, ასევე უსადენო (Wi-Fi) ინტერნეტი, რაც დასტურდება როგორც ვიზუალური, ასევე 2026 წლის 29 მარტს „სს სილქნეტთან“ გაფორმებული უვადო ხელშეკრულებით. კოლეჯს შემუშავებული აქვს „IT ტექნოლოგიების მართვის წესი“ - დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 31 მაისის №14 (ბოლო ცვლილება 2023 წლის 6 აპრილი, ბრძანება №13) ბრძანებით. აღნიშნული წესი ადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებს და პოლიტიკას. IT მენეჯერის ინიციატივით, დაწესებულების ახალ მისამართზე, განხორციელდა IT ინფრასტრუქტის სრული მოდერნიზაცია, რამაც ხელი შეუწყო დაწესებულებაში Wi-Fi ქსელის გამართულად და ხარისხიანად ფუნქციონირებას. დაწესებულების მლობელობაშია 5 პრინტერი, 12 მონიტორი, 4 პროექტორი, 9 პერსონალური კომპიუტერი და 35 ლეპტობი (მათ შორის ადმინისტრაციისათვის 21) და სხვა. ექსპერტთა შეფასებით წარმოდგენილი ტექნოლოგიური რესურსი (IT ინფრასტრუქტურა) სრულად უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვა დაწესებულებას გაწერილი აქვს „IT ტექნოლოგიების მართვის წესში“, დოკუმენტის თანახმად, რისკები ფასდება IT მენეჯერის მიერ კოლეჯის IT რისკების შესწავლით. რისკების შეფასება განსაზღვრავს ინფორმაციული აქტივების ფასეულობას, ახდენს მოსალოდნელი საფრთხეების და არსებული (ან შესაძლო) სუსტი წერტილების, უარყოფითი შედეგების იდენტიფიცირებას, განსაზღვრავს არსებული კონტროლოს მექანიზმს და მის გავლენას აღმოჩენილ რისკებზე. ამავე დოკუმენტის თანახმად, IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, ადგილობრივი ქსელის, კომპიუტერული და პერიფერიული მოწყობილობების გამართულად მუშაობის, პროგრამული უზრუნველყოფის გეგმური შემოწმება ხორციელდება სასწავლი წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ, ხოლო რეგულარული პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება ხორციელდება პერიოდულად (საჭიროებიდან გამომდინარე). დაწესებულებაში განთავსებული კომპიუტერები უზრუნველყოფილია IT ვირუსისგან დამცავი სისტემით, რაც დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით. IT მენეჯერთან გასაუბრებით და წარმოდგენილი ანგარიშებით დადასტურდა, რომ ყველა სახის ტექნიკური სამუშაო ან პროგრამული განახლება, რომელიც იწვევს ქსელის ფუნქციონირებაში შეფერხებას, ხორციელდება დაუყონებლივ, ხოლო ქსელის მაშტაბური ფუნქციონირების შეფერხების შესახებ ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მომხმარებლებს მიეწოდებათ სულ მცირე ერთი დღით ადრე. ექსპერტთა შეფასებით დადგინდა, რომ IT ინფრასტრუქტურის დაცვა და ქსელის მართვა, ასევე მომხმარებლის მონაცემების დაცვა უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

დაწესებულებაში, 2020 წლის 4 ივლისის №19 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს დაწესებულების მიერ მოწოდებული საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავების გამჭვირვალობას. დაწესებულება პატივს სცემს და იცავს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, უზრუნველყოფს „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრინციპებისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვას. კოლეჯის „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“ განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის ფუნქცია-მოვალეობები. კერძოდ: კოლეჯისა და მისი თანამშრომლების კონსულტირება პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე, მათ შორის საქართველოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ წესებზე; კოლეჯში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში საჭირო შიდა პოლიტიკის, წესებისა და პროცედურების შემუშავება და მათი პერიოდული გადახედვა/განახლება; დაწესებულების საქმიანობის მონიტორინგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად; პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესების შეფასებაში მონაწილეობა; დაწესებულების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე, მათ შორის ტრენინგებისა და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება. დაწესებულებას, 2024 წლის 02 ოქტომბერს, პერსონალურ მონაცემთა დაცვით უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს ,,მონაცემთა დაცვის გუნდთან", რომელმაც დაწესებულებას გამოუყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი შეტყობინება გაკეთებული აქვს ოფიცრის განსაზღვრის თაობაზე საზედამხედველო ორგანოსთან (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური). ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებისას დადგინა, რომ დაწესებულებაში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“-ში გაწერილია ხარისხის მექანიზმები, რომლის მიხედვითაც ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პერიოდულად ატარებს კოლეჯის პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვას. საჭიორობის შემთხვევაში კვლევის ანალიზის მიხედვთ იგეგმება გაუმჯობესების ნაბიჯები. დაწესებულების ხარისხის მენეჯერის მიერ ჩატარებული (2024-2025 სასწავლო წლის პროფესიული სტუდენტის და ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლის) კვლევების ანგარიშებით დგინდება, რომ დაინტერესებული მხარეები აფასებდნენ IT ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების ეფექტიანობას. ირკვევა რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ, დაწესებულების პროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის სწავლისა და შრომის შესაბამისი პირობებია შექმნილი.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

დაწესებულებაში IT ინფრასტრუქტურა და მომსახურება ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისა და პერსონალისთვის. არსებული IT ინფრასტრუქტურა საკმარისია იმისათვის, რომ პროფესიულმა სტუდენტებმა და პერსონალმა შეუფერხებლად გამოიყენონ იგი. IT რესურსების მიზნობრივი და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებაში მოქმედებს „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“, რომელიც არეგულირებს მატერიალური რესურსებით სარგებლობას. პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის მუდმივ ხელმისაწვდომობას, IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე, ადასტურებს ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. ასევე გასაუბრებისას პროფესიული სტუდენტები და პერსონალი აღნიშნავენ, რომ დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა დასაშვებია სასწავლო და სამუშაო მიზნებისთვის მოთხოვნის შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

დაწესებულებაში კომუნიკაციის მიზნით, გამოყენებულია ელექტრონული ფოსტები, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ სოციალურ ქსელში შექმნილი დახურული ჯგუფები, სადაც ადმინისტრაციის მხრიდან იტვირთება სასწავლო განრიგი და ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხრიდან სასწავლო რესურსები. სტუდენტებს აქვთ მუდმივი და მარტივი წვდომა ყველა საჭირო ინფორმაციაზე: მეცადინეობის განრიგებზე, შეფასებებზე, საგანმანათლებლო რესურსებზე და სხვა. დაწესებულებაში არსებული საკომუნიკაციო მექანიზმი უზრუნველყოფს როგორც კოლეჯის პერსონალის, ისე სტუდენტთა ეფექტურ კომუნიკაციას და მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რასაც ადასტურებს ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები. ასევე, გასაუბრებისას პერსონალი, განმახორციელებლები და პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ დაწესებულებაში საკომუნიკაციო სისტემის გამართულ ფუნქციონირებას და ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება;
2. IT ტექნოლოგიების მართვის წესი;
3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
4. IT მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები;
5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;
6. პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელტა კითხვარები;
7. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 19 მარტის №16 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ინსტრუქციის“ (ბოლო ცვლილება 2023 წლის 4 ნოემბერი, ბრძანება N66) შესაბამისად, საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. კოლეჯში მატერიალურ დოკუმენტბრუნვასთან ერთად ფუნქციონირებს e-flow -ს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა. საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქცია ადგენს კოლეჯში დოკუმენტური ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობებს, დოკუმენტებზე მუშაობის წესს, ბრძანებების, ხელშეკრულებების, მემორანდუმების, ოქმების, აქტების, განცხადებების, წერილების, შემოსული და გასული კორესპონდენციის მომზადების წესებს. საქმისწარმოების ინსტრუქციით განსაზღვრული მუშაობის წესის დაცვა სავალდებულოა კოლეჯის ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის/პირისთვის. კოლეჯს საქმისწარმოების ინსტრუქციით ასევე განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტების მიერ შექმნილი მტკიცებულებების აღრიცხვის, შენახვისა და განკარგვის, მათ შორის დაარქივების და განადგურების წესები. დოკუმენტების აღრიცხვა და ნუმერაცია იწყება ყოველი კალენდარული წლის დასაწყისიდან. დაწესებულებაში მიღებულ განცხადება/წერილზე პასუხი გაიცემა 5 დღის ვადაში ბეჭდური ფორმით ან/და ელექტრონულად. დოკუმენტების დამუშავება და შემსრულებლისათვის გადაცემა ხორციელდება მათი შემოსვლის დღეს ან თუ დოკუმენტ(ებ)ი შემოვიდა 17:00 საათის შემდგომ მომდევნო სამუშაო დღეს. კორესპონდენცია, რომელიც მოითხოვს სასწრაფო რეაგირებას, ადრესატს წარედგინება რეგისტრაციის შემდეგ დაუყონებლივ. დოკუმენტების რეგისტრაციისთვის გახსნილია რეგისტრაციის ჟურნალები. ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები, რომლებიც არის დანომრილი, ზონარგაყრილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული. კოლეჯში მოქმედი საქმისწარმოების ერთიანი წესი შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და თანხვედრაშია დაწესებულების „საქმიასწარმოების ინსტრუქციასთან“.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.

დაწესებულება მმართველობისას, მათ შორის საქმისწარმოებაში, იყენებს თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას e-flow-ს, რისთვისაც დაწესებულება ფლობს 4 მომხმარებელს ძირითადი სტრუქტურული ერთეულებისათვის, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელებული დათვალიერებისა და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებაში დოკუმენტბრუნვის პროცესები უზრუნველყოფილია თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით და სრულად შეესაბამება დაწესებულების შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ წესებს.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (e-vet.emis.ge) ინფორმაციის დროული შეტანის ვალდებულება აკისრია დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს - პროფესიული სტუდენტების ნაწილში, ხოლო საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი ვალდებულია მოახდინოს თანამშრომლების პირადი ინფორმაციის შეტანა და მუდმივი განახლება. პასუხისმგებელი პირები ხელმძღვანელობენ საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით, რომლის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტის მონაცემები შეიტანება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის შემდგომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის №11/ნ ბრძანების (პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობებით) მოთხოვნების დაცვით (evet.emis.ge); ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული დათვალიერებისა და ემისის მართვის პასუხისმგებელ პირებთან გამართული გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის ასახვა წარმოებს კანონმდებლობისა და დაწესებულების ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 19 მარტის №16 (ბოლო ცვლილება 2023 წლის 4 ნოემბერი, ბრძანება №66) ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ინსტრუქციის“ თანახმად, დოკუმენტების ვადაში შესრულების კონტროლი ეკისრება საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა დაწესებულების მიერ მიღებული და გაცემული კორესპოდენცია, რითაც დადასტურდა, რომ დოკუმენტებზე რეაგირებისა და შესრულების ვადები არ აღემატება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებს.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საქმიწარმოების ინსტრუქცია;
2. საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება;
3. სარეგისტრაციო ჟურნალები;
4. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დათვალიერების შედეგები;
5. გასაუბრებისა შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.**

დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდია https://medicalschool-3.edu.ge/, რომელზეც განთავსებულია: საკონტაქტო ინფორმაცია მისამართის მითითებით, მისია, ხედვა და ღირებულებები, ინფორმაცია მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, დაწესებულების იურიდიული ცნობარი, ინფორმაცია ადმინისტრაციულ პერსონალსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებზე და სიახლეები. დაწესებულება ასევე იყენებს სოციალური ქსელებს: - https://www.facebook.com/mesamesamedicino და https://www.instagram.com/mesame_samedicino_koleji, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან საინფორმაციო პლატფორმებს სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებული პირებთან კომუნიკაციისათვის. დაწესებულების საზოგადოებასთან კომუნიკაციის სახეებსა და ურთიერთობის ფორმებს არეგულირებს დირექტორის 2021 წლის 4 დეკემბრის N67 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“ რომლითაც განსაზღვრულია ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების მართვის წესები, რაც გულისხმობს ვებგვერდის/სოციალური ქსელების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირისათვის ვებგვერდზე/სოციალური ქსელის გვერდებზე განსათავსებელი ინფორმაციის მიწოდებისა და ინფორმაციის განთავსების/განახლების/ამოღების წესებს. დოკუმენტის თანახმად ვებგვერდის/სოციალური ქსელების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია დაწესებულების IT მენეჯერი. ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების სხვადსხვა პლატფორმაზე ბოლო პერიოდის აქტივობებს - სხვადასხვა სახის პოსტებს, ვიზუალურ და ტექსტურ კონტენტს, ინფორმაციას მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ, როთაც დადასტურდა, რომ ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

დაწესებულების მისიაში არ არის განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, შესაბამისად კოლეჯს აქვს მხოლოდ ქართული ენის შესაბამისი ვებგვერდი.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

დაწესებულების „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის“ მიხედვით ვებგვერდზე/სოციალური ქსელების გვერდზე ინფორმაციის გონივრულ ვადებში განთავსებაზე/განახლებაზე, ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან შეთანხმებით, პასუხისმგებელია IT მენეჯერი. დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი, სოციალური ქსელები და სხვა საკომუნიკაციო არხები ასრულებენ საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მათზე ქართულ ენაზე განთავსებულია დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ვებგვერდზე აისახება როგორც მიმდინარე პროცესები და აქტივობები, ასევე დაგეგმილი ღონისძიებები. ვებგვერდზე არ არის ასახული ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლება დაწესებულებას ჯერ არ მოუპოვებია.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას დაწესებულების საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი მოიცავს ინფორმაციას პროგრამების დასახელების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, დაშვების წინაპირობების, მოცულობის, ხანგრძლივობისა და დასაქმების სფეროების შესახებ, ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელისა და პარტნიორი ორგანიზაციების/პრაქტიკის ობიექტების შესახებ. კატალოგს დაწესებულებისთვის სარეკლამო სახის დანიშნულება აქვს და დაინტერესებულ პირს აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას. ექსპერთა მიერ დადასტურდა, რომ კატალოგი განახლებულია და ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

დაწესებულების პროგრამების კატალოგი არსებობს ელექტრონული სახით და ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე. მისი განახლება ხდება წელიწადში ერთხელ, ასევე, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად . ექსპერთთა მიერ გადამოწმდა დაწესებულების ვებგვერდი, სადაც განთავსებულია პროგრამების კატალოგი (2019 წლიდან 2026 წლის ჩათვლით), რითაც დადასტურდა, რომ დაწესებულება ყოველწლიურად აახლებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კოლეჯის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხები. დაწესებულების საკომუნიკაციო არხებიდან, ოფიციალური სოციალური ქსელით ელექტრონული ფორმის გამოკითხვებიდან, ელექტრონული ფოსტიდან შემოსულ ინფორმაციაზე/შეკითხვებზე, საჭიროების შემთხვევაში, ხდება სათანადო რეაგირება. სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით მიღებული უკუკავშირი მუშავდება კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ, მოვალეობების შესაბამისად და გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ექსპერტთა შეფაებით, დაწესებულება აქტიურად ითვალისწინებს საზოგადოების გამოხმაურებას, რომელიც მიიღება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით, რათა გააუმჯობესოს თავისი საქმიანობის ხარისხი.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1 საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
3. IT მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;
4. კოლეჯის სოციალური ქსელი და ვებგვერდი
5. გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი თბილისი, რაფიელ აგლაძე, N 25ა
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	416
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	85
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	416
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულება ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას საექთნო განათლება ახორციელებს 2019 წლიდან დღემდე. პროფესიული სტუდენტების რაოდენობა განსაზღვრული იყო 100 პროფესიული სტუდენტით. გამომდინარე იქიდან, რომ დღეისათვის ექთნების მწვავე დეფიციტია ერთი მხრივ განპირობებულია პროგრამაზე გაზრდილი მოთხოვნის (მომართვიანობის) და მაღალი დასაქმების მაჩვენებლებით, მეორე მხრივ საქართველოს მთავრობის დადგენილებით (#134 16.07.2019 „საექთნო საქმის განვითარების სტრატეგია“), რომლის თანახმად ექთანთა მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის პრიორიტეტია, რაც პროფესიას ხდის შრომის ბაზარზე ერთ-ერთ მოთხოვნად და დასაქმებად მიმართულებას. დოკუმენტის „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა 2025“-ის მიხედვით, ჯანდაცვის სექტორზე მოდის დასაქმების მაღალი მაჩვენებელი. 2024 წელს წინა წელთან შედარებით დასაქმება საგრძნობლად გაიზარდა, მათ შორის ჯანდაცვის სექტორში 9%-ით, რაც მნიშვნელოვნად მაღალი ზრდაა და მიუთითებს კადრების მზარდ მოთხოვნაზე.

საქართველოს შრომის ბაზარზე ექთნის პროფესიაზე მოთხოვნა, თვალსაჩინოა, რასაც ადექვატურად უნდა უპასუხოს საგანმანათლებლო დაწესებულებამ შესაბამისი პროდუქტის შეთავაზების გზით, დაწესებულებამ, სამედიცინო მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილებისა (პრაქტიკოსი ექთანი, საექთნო განათლება), სამედიცინო დაწესებულებებთან წარმატებული თანამშრომლობისა და საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური რესურსებისა და სასწავლო რესურსების შეფასების საფუძველზე, გადაწყვიტა გაზარდოს აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 316 პროფესიული სტუდენტით (ყოველწლიურად მისაღები პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 138-140, რაც სამი წლის მანძილზე იქნება 416 პროფესიული სტუდენტი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“, რომელსაც უკვე ახორციელებს დაწესებულება, ითვალისწინებს და მიზნად ისახავს შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე ექთნების მომზადებას, რომლებიც კონკურენტუნარიანნი იქნებიან ადგილობრივ ბაზარზე. შესაბამისად, ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

აღნიშნული პირობების დაკმაყოფილების მიზნით კოლეჯის მიერ უზრუნველყოფილი იქნა სასწავლო აუდიტორიების მოყვანა მოთხოვნილი კვოტების ფარგლებში. ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა გაზრდილი კვოტის მიხედვით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალური რესურსი და შემოწმდა პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილი აუდიტორიები.

კოლეჯი მესამე სამედიცინო „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს ქალაქ თბილისში, რაფიელ აგლაძის ქუჩა №25ა-ში, სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი 1 (ერთი) AC გარემო (30 პროფესიულ სტუდენტზე), 6 (ექვსი) A სასწავლო გარემო (A სასწავლო გარემო №416 - 22 პროფესიულ სტუდენტზე, A სასწავლო გარემო №1 და №409 – 24-24 პროფესიულ სტუდენტზე, A სასწავლო გარემო №408, №412 და №415 – 28-28 -28 პროფესიულ სტუდენტზე). პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია ასევე სათანადოდ აღჭურვილი AB სასწავლო გარემო №2 (30 პროფესიულ სტუდენტზე). აუდიტორიებში, ჯამურად, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს 214-ს.

ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში 138-140 პროფესიული სტუდენტი, ორ ცვლაში შესაბამისად 276-280 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა AB გარემოს გამტარუნარიანობა. AB გარემო, არსებული აღჭურვილობით, გამტარუნარიანია მოქმედი ორი საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული წიგნიერების“ მოდულის განხორციელებისთვის.

ყველა აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი).

კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა) იპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი პრაქტიკული სწავლების მოდულებისათვის: ავადმყოფის მოვლა და შინმოვლა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწესებულებაში არსებული ფართი და მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს, დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საექთნო განათლება მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით თეორიული სწავლება ერთდროულად უწევთ 2 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, კოლეჯი ორ ცვლაში შეუფერხებლად განახორციელებს (276+280) პროფესიული სტუდენტის სწავლებას სასწავლო აუდიტორიებში. სწავლების მეორე წლის მეორე ნახევრიდან პროგრამის განხორციელება გრძელდება პარტნიორ კლინიკებში. ამ ეტაპზეც, ანალოგიურად პარალელურად სწავლება უწევს ორი წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, რაც ჯამურად არის მაქსიმუმ 276+280 პროფესიული სტუდენტი.

პარტნიორ კლინიკებში სწავლებას უზრუნველყოფენ პრაქტიკის ინსტრუქტორები თანაფარდობით - 1/7.

საექთნო განათლება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან:

1. ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიიღებს 464 პროფესიულ სტუდენტს და ერთდროულად მიიღებს 50 პროფესიულ სტუდენტს (კვოტის გაზრდის მიზნით პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულია 2026 წლის 19 თებერვალს შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. შპს „ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიიღებს 416 პროფესიულ სტუდენტს და ერთდროულად მიიღებს 42 პროფესიულ სტუდენტს (კვოტის გაზრდის მიზნით პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულია 2026 წლის 18 თებერვალს შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ);
3. შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“ – 140 პროფესიულ სტუდენტს მიიღებს ყოველ წელს (კვოტის გაზრდის მიზნით პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულია 2026 წლის 18 თებერვალს შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ);
4. სს ,,ვიანი“ - ივანე ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ერთდროულად მიიღებს 80 პროფესიულ სტუდენტს (პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულია ხელშეკრულება 2022 წლის 12 სექტემბერს);
5. სს ,,გლობალმედის საუნივერსიტეტო კლინიკა“ – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიიღებს 416 პროფესიულ სტუდენტს სამი წლის განმავლობაში (კვოტის გაზრდის მიზნით კლინიკასთან ხელშეკრულება გაფორმდა 2026 წლის 2 მარტს).

პარტნიორი დაწესებულებები ბაზარზე ცნობილი ოპერატორები არიან, კლინიკები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სადაც უკვე ხორციელდება 2023 -2024 წლის მიღების კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტის სწავლება. აღნიშნულ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას, თუ რომელი მოდულის განხორციელებაში ჩაერთვება კლინიკა, რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს იმ გაანგარიშებით, რომ 7 (შვიდ) პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ერთი პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ინსტრუქტორი კლინიკური სწავლებისათვის და გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალა. დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნიათ სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება. პრაქტიკის განმახორციელებელ კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს თან ახლავს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის ნუსხა, პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებლი მოდულების ჩამონათვალი, პრაქტიკის მოცულობის შესახებ ინფორმაცია. ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან ასევე ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ შეთანხმებას.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი კლინიკები თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ვიზიტის დროს შეირჩა პარტნიორები: შპს პინეო სამედიცინო ეკოსისტემა, სს ,,ვიანი“ - ივანე ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი, სს ,,გლობალმედის საუნივერსიტეტო კლინიკა“ რომლის წარმომადგენლებთანაც გასაუბრება განხორციელდა, კლინიკის წარმომადგენლებმა მზაობა გამოხატეს, რომ მიიღებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროფესიული სტუდენტების რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

დაწესებულებამ კვოტის გაზრდის მიზნით, დამატებით ხელშეკრულება გააფორმა 21 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ჯამში პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 45 პირი, მათ შორის 9 ზოგადი მოდულების (4 - საინფორმაციო ტექნოლოგია, 2 - უცხო ენა, 2 - კომუნიკაცია, 1 - ქართული ენა) განმახორციელებლი, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი - 36 პირი. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას თითოეული მოდულისათვის ჰყავს მინიმუმ ორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმახორციელებელი შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, რათა ერთ-ერთი მათგანის მიერ კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობისას, მაგ. შვებულება, საავადმყოფო ფურცელი, სამსახურიდან წასვლა და სხვა, საფრთხეს არ უქმნის პროგრამის უწყვეტად განხორციელებას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემოწმდა საექთნო განათლება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). მათთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი. შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას.

ვიზიტის დროს შედგა ასევე გასაუბრება, მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ განმახორციელებელ პირებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია, სწავლების და ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ასევე, უნარების სააგენტოს მიერ და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწვალებელთა ნაწილი ჩართული იყო მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

დაწესებულებას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი კვალიფიკაციით - ბიოლოგი, ექთანი პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის გამოცდილებით (2019 წლიდან დღემდე), კლინიკური სწავლების ხელმძღვანელი/კლინიკური სწავლების ინსტრუქტორი, დარგობრივი კომპეტენციების უნარების ფლობით. აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება (1992 წლიდან დღემდე).

პროგრამის ხელმძღვანელთან და კლინიკური სწავლების ხელმძღვანელთან/კლინიკური სწავლების ინსტრუქტორთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ზრუნავენ პროგრამის განვითარებაზე, ჩართული არიან პროგრამის განხორციელების პროცესში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრებიან პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული არიან შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო განათლება მოდულებში მითითებული რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად, დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია მატერიალური, ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო სივრცე. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში. დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ელექტრონული სახელმძღვანელოებით. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის მომსახურეობა. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური, ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.
დაწესებულებას სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით (მუხლი 32). განსაზღვრავს კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში-შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) ან აკომოდირების (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის.
წესის თანახმად პროფესიული მასწავლებელი მიმართავს სასწავლო პროცესის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც განხილული და შეთანხმებული იქნება პროფესიულ სტუდენტთან. შეთანხმებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარედგინება დაწესებულების დირექტორს დასამტკიცებლად. დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
დაწესებულების მიერ რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 10 პროფესიული სტუდენტით, რომლის ფარგლებშიც პროგრამის შემოსავალი 12853 ლარს შეადგენს. ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: პროფესიული განათლების მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, კლინიკური პრაქტიკით სარგებლობის გადასახადი, იჯარა და კომუნალური ხარჯები, პერსონალის განვითარება, სტუდენტური ღონისძიებები და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ თანდართული დოკუმენტაციით;
2. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
3. პროგრამის ხელმძღვანელის და კლინიკური სწავლების ხელმძღვანელის/კლინიკური სწავლების ინსტრუქტორის პირადი საქმეები;
4. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
5. საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება;
6. ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „საექთნო განათლება“ თან ახლავს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 146 სასწავლო კვირა (210 კრედიტი), ხოლო ქართულენოვანი კონტიგენტისთვის 120 სასწავლო კვირა (180 კრედიტი). საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დაცულია განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები, შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის პერიოდი.

ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

პროფესიულ სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას და ჩართულობას. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ დამატებითი კონსულტაცია, ინფორმაცია საგანმანათლებლო სერვისებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციისგან, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.

კოლეჯის მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელ დებულებაში დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინების ნაწილი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობით პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის, ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები.

დაწესებულების მიერ პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე რეაგირებისა და შესაბამისი მომსახურების გაწევას ადასტურებენ ასევე პროფესიული სტუდენტებიც.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. მოდულებში გამოკვეთილია სწავლის თანამედროვე მეთოდები პრაქტიკის ობიექტები და დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე მიდგომებს.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

პროგრამებზე „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“ (მუხლი 32) განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა პირობა, პროცედურა და მასზე პასუხისმგებელი პირები. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისა და სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. გაწერილი მეთოდოლოგიის მიხედვით დაწესებულება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

კოლეჯი თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებით, რომელიც ითვალისწინებს როგორც უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის, ისე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულებულებებს. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის აუცილებელი სახარჯი მასალის გამოყოფის შესახებ ვალდებულებას. ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას. ხელშეკრულებებით განსაზღვრულია განსახორციელებელი მოდულები, მათი მოცულობა და პრაქტიკის ობიექტზე მისაღები პროფესიული სტუდენტების კვოტა.

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ხუთ პარტნიორ კლინიკასთან:

1. ა(ა) იპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიიღებს 464 პროფესიულ სტუდენტს და ერთდროულად მიიღებს 50 პროფესიულ სტუდენტს (კვოტის გაზრდის მიზნით პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულია 2026 წლის 19 თებერვალს შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ);
2. შპს ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი” - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიიღებს 416 პროფესიულ სტუდენტს და ერთდროულად მიიღებს 42 პროფესიულ სტუდენტს (კვოტის გაზრდის მიზნით პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულია 2026 წლის 18 თებერვალს შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ);
3. შპს პინეო სამედიცინო ეკოსისტემა – 140 პროფესიულ სტუდენტს მიიღებს ყოველ წელს (კვოტის გაზრდის მიზნით პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულია 2026 წლის 18 თებერვალს შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ);
4. სს ,,ვიანი“ - ივანე ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ერთდროულად მიიღებს 80 პროფესიულ სტუდენტს (პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულია ხელშეკრულება 2022 წლის 12 სექტემბერს);
5. სს ,,გლობალმედის საუნივერსიტეტოპ კლინიკა“ – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიიღებს 416 პროფესიულ სტუდენტს (კვოტის გაზრდის მიზნით კლინიკასთან ხელშეკრულება გაფორმდა 2026 წლის 2 მარტს).

ექსპერტთა ჯგუფი შემთხვევითი შერჩევით გაესაუბრა პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს, რომ იცნობენ ხელშეკრულებით და მოდულით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამას - საექთნო განათლება არ სჭირდება დამატებითი უსაფრთხოების მოთხოვნები.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“;
2. სასწავლო გეგმები;
3. საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება;
4. ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
5. ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

კოლეჯის მიერ შემუშავებულ „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“ არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას, სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შუალედური შეფასებისა და და საკვალიფიკაციო გამოცდის, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციის პროცესების შესახებ.

შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მაქსიმუმ ორჯერ აქვს გასვლის უფლება პროგრამის დასრულებამდე, გარდა იმ შემთხვევაში თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. ამ შემთხვევაში ვადები შეზღუდულია, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებით/დამატებით განმსაზღვრელი შეფასების თარიღს, წინმსწრები მოდულის/მოდულების გათვალისწინებით. შეფასების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ევალება მოდულის განმახორციელებელ პირს.

პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი პირი შეფასების მტკიცებულებებს გადასცემს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს. შეფასების მტკიცებულებები ინახე პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოში. კოლეჯის შეფასების სისტემა გამორიცხავს ინტრესთა კონფლიქტს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-ვალიდაციის პროცესში.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ ფარგლებში შემუშავებული ინსტრუმენტები, მიზნით რამდენად არის შეფასების სისტემა/ინსტრუმენტები ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. წარმოდგენილი ინსტრუმენტები იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ასევე ინსტრუმენტები მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია.

გასაუბრებისას პროფესიულ სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესი ხორციელდება ყველასთვის ერთნაირად, სამართლიანობის პრინციპების დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც ხორციელდება კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ - „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ (მუხლი 34) შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, შესაბამისი ადამანური რესურსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, იქმნება ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი და რომელშიც შეიძლება შედიოდეს მოწვეული პირები (დარგის წარმომადგენლები/ექსპერტები).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. ვერიფიკაციისას გამოყენებულია რისკ-ფაქტორების გამოვლენა, როგორიცაა: ,,დამწყები" პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი; მოდულის ფარგლებში, როცა ყველა პროფესიულ სტუდენტს მიღებული აქვს უარყოფითი შეფასება და სხვა. ვერიფიკაციის შედეგების განხილვა ხდება დაწესებულებაში. განხილვაში მონაწილეობა შეუძლია პროფესიული განათლების მასწავლებლებს, დარგის ექსპერტებს, დამსაქმებლებს, ყველა დაინტერესებულ პირს.
ვერიფიკაციის შედეგებიდან გამომდინარე იწერება დასკვნა. დაწესებულება დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, სადაც აისახება ყველა ის განსახოციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემური საკითხების გადასაჭრელად.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება", ფარგლებში დაწესებულების მიერ ვერიფიკაცია ჩატარებულია 2025 -2026 სასწავლო წელს, ჯგუფის მიერ. ვერიფიკაციის დასკვნაში ასახულია ჯგუფის რეკომენდაციები.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.
კოლეჯის დადგენილი რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები დაცულია და ინახება, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ, შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში. შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება, რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისებს, ინახება მუდმივად.
ვიზიტის პერიოდში, ექსპერტების მიერ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოები. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.
პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯის შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება (შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით) სწავლის პროცესის შეფასებაა და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება.
პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასაწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აქტიურად იყენებენ კონსულტაციებს.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება;
2. პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოები, შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები;
3. ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი თბილისი, რაფიელ აგლაძის ქუჩა N25ა
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	144
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	30
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	144
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას დაწესებულება უზრუნველყოფს სარგებლობაში არსებულ ფართზე, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, რაფაელ აგლაძის 25ა-ში. კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია ორი სასწავლო A გარემო, ორი A/C გარემო, ერთი B გარემო და პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი.

A გარემო (ოთახი 413) აღჭურვილია: 24 პროფესიული სტუდენტისთვის გამოყოფილი სამუშაო მაგიდითა და სკამით, 1 პროფესიული მსაწავლებლის მაგიდით და სკამით, 1 პერსონალური კომპიუტერით (მასწავლებლისათვის) და დაფით.

მეორე A გარემო (ოთახი 401) აღჭურვილია: 24 პროფესიული სტუდენტისთვის გამოყოფილი სამუშაო მაგიდითა და სკამით, 1 პროფესიული მსაწავლებლის მაგიდით და სკამით, 1 პერსონალური კომპიუტერით (მასწავლებლისათვის) და დაფით.

B გარემო (ოთახი 101) აღჭურვილია: 30 პერსონალური კომპიუტერით, 1 პროფესიული მსაწავლებლის მაგიდით და სკამით, 1. პერსონალური კომპიუტერით (მასწავლებლისათვის), პროექტორით და დაფით.

A/C გარემო (ოთახი 402), ქიმიურ-ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ლაბორატორია აღჭურვილია 24 პროფესიული სტუდენტისათვის თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. ქიმიური მაგიდები და სკამები 26 პროფესიული სტუდენტისათვის ჯგუფური მუშაობისთვის (ქიმიური მაგიდები 24 სტუდენტზე, ერთი პედაგოგისთვის, 24+1 ლაბორატორიული სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით (1ცალი მონიტორი), დაფით, სასწავლო თვალსაჩინოებებით /სასტენდო ვიზუალიზაციით, თანამედროვე/ხარისხიანი გამწოვი მოწყობილობით, კარადებით ქიმიური ჭურჭლისთვის, დახურული კარადით რეაქტივებისათვის, რომელიც აღჭურვილია მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი ინვენტარითა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღჭურვილობით. მიკროსკოპებით, შტატივებით, სასწორებით, საწონებით, სინჯარებით, რეფერაქტომეტრით, კოლბებით, როდინებით და ყველა საჭირო ჭურჭლით. .აქვეა კედელზე გამოკრული „დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხოების წესი“; „ნარჩენების უტილიზაციის წესი“, ყუთი მყარი ნარჩენებისთვის (უტილიზაციის კომპანიის მიერ მოწოდებული), მინის თავდახურული ჭურჭელი სითხოვანი ნარჩენებისთვის. პროფესიული სტუდენტების მიერ მომზადებული წამლის ფორმების ნიმუშები, მარკირების ნიშნები და სხვა საჭირო აღჭურვილობა და მასალა-ნედლეული.

A/C გარემო (ოთახი 403), სიმულაციური აფთიაქი აღჭურვილია 24 პროფესიული სტუდენტისთვის და პედაგოგისთვის მაგიდებითა და სკამებით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული მატერიალური რესურსით: სააფთიაქო ღია და დახურული კარადებით და სიმულაციური წამლის, ბავშვთა კვების, ავადმყოფის მოვლის საგნების, დეკორატიული კოსმეტიკის ნაწარმთა ნიმუშებით. ასევე შევსებული და შეუვსებელი რეცეპტების ნიმუშებით.

პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი (კაბ. 30), რომელიც ასევე აღჭურვილია სათანადო ავეჯით და მოწყობილობებით.

პრაქტიკის ობიექტზე ხელშეკრულების ფარგლებში უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით სარგებლობა პროფესიული სტუდენთათვის. კოლეჯს გაფორმებული აქვს კოოპერაციული სწავლების ხელშეკრულებები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან:

- შპს „ავერსთან“ - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ერთდროულად მიიღებს 144 პროფესიულ სტუდენტს (კვოტის გაზრდის მიზნით პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულია 2026 წლის 18 თებერვალს შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ);
- სს „გეფასთან“ - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ერთდროულად მიიღებს 112 პროფესიულ სტუდენტს (პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულია ხელშეკრულება 2026 წლის 27 იანვარი);

პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში 8 მოდულის გავლას, ესენია:

1. „სანიტარიულ ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“;
2. „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება“;
3. „პროდუქციის მიღება განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება“;
4. „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“;
5. „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა“;
6. „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“;
7. „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის/საშუალებების შერჩევა“;
8. „მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა“.

კოოპერაციული სწავლების ხელშეკრულებები მიზნად ისახავს ურთიერთთანამშრომლობის გზით, პროფესიული პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულების განხორციელებას პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. ექსპერტთა მიერ, კოლეჯისა და პრაქტიკის ობიექტის (შპს „ავერსი“) გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯამურად 144) პროფესიული სტუდენტი, (წელიწადში ერთ მიღებაზე 144 პროფესიული სტუდენტი). ერთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აფთიაქში იღებენ მაქსიმუმ 4 სტუდენტს და პრაქტიკის ობიექტის მიერ ასევე უზრუნველყოფილია სტუდენტთა პრაქტიკის გავლა ტერიტორიულად საცხოვრებელ ადგილთან ახლოს არსებულ აფთიაქში, სურვილისამებრ.

ასევე ექსპერტებს ქონდათ ჩართვა შპს „გეფას“ პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებლებთან, რომლებმაც დაადასტურეს ხელშეკრულების პირობების დაცვა და სტუდენტთა დასწრება პრაქტიკულ მეცადინეობებზე, აღნიშნეს მათი მოტივირებულობა და დასაქმებაც ზოგიერთ აფთიაქებში.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

დაწესებულებამ კვოტის გაზრდის მიზნით, დამატებით ხელშეკრულება გააფორმა 14 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ჯამში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - „ფარმაცია (სააფთიაქო)“ გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები 34 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, ხოლო 23 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს დარგობრივ მოდულებს. აქედან 3 ინსტრუქტორია. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, დაწესებულებას მოდულების მიხედვით ჰყავს მინიმუმ 2 განმახორციელებელი მასწავლებელი, რომლებსაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების პროცესში ერთმანეთის ჩანაცვლება. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებით და მათი პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“, კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N9 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2026 წლის 25 მარტი, N07-23/20) დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“, 27-ე მუხლით განსზაღვრული მოთხოვნების შესაბამისად, შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლები, თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად პირად საქმეში განთავსებულია დიპლომები ან/და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები/ცნობები. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები (საათების მითითებით), რომლებსაც განახორციელებს პროფესიული მასწავლებელი. დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა არ სცდება კვირეულ 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მდგრადობას. და პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

კოლეჯის „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ მიხედვით პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უმაღლესი/პროფესიული განათლების, შესაბამის დარგში მუშაობის 2 წლიანი გამოცდილების მქონე სპეციალისტი. ამავე დოკუმენტის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელი: მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/მოქმედ პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცესში; მონაწილეობს პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად შეფასების ინსტრუმენტების და კალენდარული გეგმების შემუშავებაში; ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში; პასუხისმგებელია პროფესიული საგანმანათლებლო მოდულების ადაპტირებისა და მათი სტანდარტებთან შესაბამისობაზე; კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის საქმიანობას. ექსპერტთა მიერ, პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავება-განხორციელებაში, ასევე არის დარგობრივი მოდულების განმახორციელებლი. აღსანიშნავია ის გარემოება რომ პროგრამის ხელმძღვანელი მუშაობდა აღნიშნული პროგრამისა და მისი ზოგიერთი მოდულების შემუშავებაში.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საჭირო საგანმანათლებლო რესურსები დაწესებულებაში ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების საკითხები რეგულირდება კოლეჯის „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება, შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის შემოწმება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია მატერიალური ან/და ელექტრონული სახით. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე, რომელიც ხელმისაწვდომია კოლეჯის ყველა პროფესიული სტუდენტისათვის. ასევე, პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი, კატალოგთან ერთად, ელექტრონული სახით ხელმისაწვდომია A, B და C სივრცეებში მასწავლებლის კომპიუტერებში და სურვილის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს თავისუფლად შეუძლია მისი ასლის საკუთარ ელ.ფოსტაზე გაგზავნა, ან ნაბეჭდი ფორმით მოკლე ამონარიდის მიღება. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი, სადაც განთავსებულია ლეპტოპი პროფესიული სტუდენტისათვის. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. ელექტრონული სასწავლო რესურსი დატანილა მყარ დისკზე (ფლეშ მეხსიერების ბარათზე). ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია სამკითხველოში თვალსაჩინო ადგილზე.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი ადაპტირებული გარემოს შექმნას, რათა მათ სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში შეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება, რაც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ინტეგრაციას საზოგადოებაში. სსსმ/შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომია, როგორც პროგრამით გათვალისწინებული, ისე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსები. დაწესებულებაში არსებული სწავლების მეთოდები, მასალები და ტექნოლოგიები სრულად ადაპტირებულია სტუდენტთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად. დაწესებულების „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ თანახმად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები პროგრამაზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად. „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“ არეგულირებს სსსმ/შშმ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართვისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვის უზრუნველყოფის მექანიზმებს. ამავე დოკუმენტის 42-ე მუხლი მოიცავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფას, კერძოდ: კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პროფესიული სტუდენტების შენობაში თავისუფალ გადაადგილებას. შენობაში, რომელშიც ფუნქციონირებს კოლეჯში შემოსვლა შესაძლებელია პანდუსით, ასევე კოლეჯის მფლობელობაში არსებულ სართულებზე მოხვედრა შესაძლებელია პანდუსით. სსსმ პირებს თავისუფლად შეუძლიათ მივიდნენ აუდიოტორიებში. ხელმისაწვდომია ყველა სახის სერვისი (სველი წერტილებით სარგებლობა, ბიბლიოთეკით, კომპიუტერული კლასით სარგებლობა და სხვ.), რაც საჭიროა მათთვის შესაბამისი განათლების მისაღებად; კოლეჯის კედლებზე თვალსაჩინოდ გამოკრულია გადაადგილების უნარშეზღუდული პირის აღმნიშვნელი ნიშანი, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ პირს შეუძლია დახმარების გარეშე დაადგინოს გადაადგილების მარშრუტი; კოლეჯის კომენდანტი ვალდებულია აღნიშნულ პირებს აღმოუჩინოს ყველანაირი დახმარება, რაც უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ და კომფორტულ გადაადგილებას კოლეჯის შენობაში. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან, რომ თუ აღნიშნულ პირებს, მათთვის სპეციალურად მოწყობილი პანდუსებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის მიუხედავად, მაინც დასჭირდებათ დახმარება, დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს კომენდანტმა ან/და სპეციალურად აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის კოლეჯის მიერ დანიშნულმა პირმა.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ვაუჩერული დაფინანსების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი მოიცავს, ყველა აუცილებელ ხარჯს, მათ შორის შრომის ანაზღაურებას, საქონელი და მომსახურების ხარჯს, მოდულის განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებების ხარჯს და სხვა ხარჯებს. საპროგნოზო ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომლის რენტაბელობის ზღვარი 10 პროფესიული სტუდენტია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ თანდართული დოკუმენტაციით;
2. პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
3. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
4. საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება;
5. ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ სასწავლო გეგმა შედგენილია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის. სწავლება ხორციელდება შესაბამისი სასწავლო გეგმით, რომელშიც გაწერილია მოდულების თანმიმდევრობა კვირების მიხედვით და ყოველ კვირაში შესასრულებელი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. მეცადინეობის განრიგები შემუშავებულია სასწავლო გეგმების შესაბამისად და პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია თვალსაჩინო ადგილას. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინების საჭიროების შემთხვევები. დაწესებულება მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე, რისთვისაც მას გააჩნია არაერთი მექანიზმი: საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება, ინდივიდუალური მეცადინეობები. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში ასევე რეგულირდება, პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს მიღებული განათლების აღიარებას და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელებას შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე. პროფესიული სტუდენტებს აქვთ მობილობის უფლება, რომლის მექანიზმებიც გაწერილია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელ დებულებაში“. დაწესებულებაში შემუშავებული ვერიფიკაციისა და შეფასების სისტემები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ვიზუალური დათვალიერებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობით დგინდება, რომ სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ გარემოში, შესაბამისი სალექციო, სადემონსტრაციო ტექნოლოგიების და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რაც მასწავლებლებს საშუალებას აძლევს ინოვაციური მიდგომები გამოიყენონ სწავლების პროცესში. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება და სხვა. ექსპერტთა შეფასებით სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და სტუდენტთა პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

დაწესებულების წარმომადგენლებსა და პროფესულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ჯგუფების დაკომპლექტების, სწავლის შედეგების მიღწევის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. ექსპერტთა მიერ გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა საჭიროებები. დაწესებულებამ წარმოადგინა მობილობის, სტატუსის აღდგენისა და შეჩერების პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და შესაბამისად ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

პროფესიული პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულება თანამშრომლობს პრაქტიკის ობიექტთან. კოლეჯს გაფორმებული აქვს 2 ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტებთან: შპს „ავერსი“ და სს „გეფა“. ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; მოდულები; სასწავლო გეგმა და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომლის პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტი. ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა შპს „ავერსის“ აფთიაქში ქ.თბილისში წერეთლის გამზ. N55-ში. პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლეთან ინტერვიუს დროს დაისვა მიზნობრივი შეკითხვები, რათა ეჭვქვეშ არ დამდგარიყო პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მდგრადობა. ასევე ექსპერტთა ჯგუფის წევრები დაუკავშირდნენ სს „გეფას“ პრაქტიკული კომპონენტის ხელმძღვანელს და დაუსვეს შესაბამისი კითხვები. კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ ხელშეკრულებაში გაწერილი პირობა სრულდება მათი მხრიდან, სტუდენტებს წვდომა აქვთ შესაბამის მატერიალურ რესურსთან და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში არავითარი გადაცდენა/უზუსტობა არ გამოვლენილა. აღნიშნული დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ მიმდინარეობს პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილ ყველა აუდიტორიაში დაცულია შრომის უსაფრთხოების ზოგადი ნორმები. ასევე, A/C სასწავლო გარემოში, ქიმიურ-ტექნოლოგიურ ლაბორატორიაში, თვალსაჩინო ადგილას არის განთავსებული ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები. უტილიზაციისთვის განკუთვნილია სპეციალური ჭურჭელი (როგორც სითხოვანი, ასევე მყარი ნარჩენებისთვის).

დაწესებულებას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება უტილიზაციის კომპანიასთან “ეკო ლაინთან” (აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ,,ეკო ლაინთან “ მიმდინარე ხელშეკრულებას ვადა იწურება 2026 წლის 30 აპრილს. თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა **წერილობითი თანხმობა კომპანიისგან (,,ეკო ლაინი“) ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ).**

რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება;
2. საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებბულია. კომპონენ
3. კალენდარულიებლო დაწე
4. პრაქტიკისლიებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებბულია. კომპონენ
5. დაწესებულებისლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებბულ
6. პარტნიორიებისლო დაწესებწარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

კოლეჯის მიერ შემუშავებულ „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“ არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას, სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შუალედური შეფასებისა და და საკვალიფიკაციო გამოცდის, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაციის პროცესების შესახებ.

შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მაქსიმუმ ორჯერ აქვს გასვლის უფლება პროგრამის დასრულებამდე, გარდა იმ შემთხვევაში თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. ამ შემთხვევაში ვადები შეზღუდულია, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებით/დამატებით განმსაზღვრელი შეფასების თარიღს, წინმსწრები მოდულის/მოდულების გათვალისწინებით. შეფასების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ევალება მოდულის განმახორციელებელ პირს.

პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი პირი შეფასების მტკიცებულებებს გადასცემს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს. შეფასების მტკიცებულებები ინახე პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოში. კოლეჯის შეფასების სისტემა გამორიცხავს ინტრესთა კონფლიქტს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-ვალიდაციის პროცესში.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ, შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, წარმოდგენილი ინსტრუმენტები იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ასევე ინსტრუმენტები მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია.

გასაუბრებისას პროფესიულ სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესი ხორციელდება ყველასთვის ერთნაირად, სამართლიანობის პრინციპების დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც ხორციელდება კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ - „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ (მუხლი 34) შესაბამისად. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, შესაბამისი ადამიანური რესურსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, იქმნება ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი და რომელშიც შეიძლება შედიოდეს მოწვეული პირები (დარგის წარმომადგენლები/ექსპერტები).

ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. ვერიფიკაციისას გამოყენებულია რისკ-ფაქტორების გამოვლენა, როგორიცაა: ,,დამწყები“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი; მოდულის ფარგლებში, როცა ყველა პროფესიულ სტუდენტს მიღებული აქვს უარყოფითი შეფასება და სხვა. ვერიფიკაციის შედეგების განხილვა ხდება დაწესებულებაში. განხილვაში მონაწილეობა შეუძლია პროფესიული განათლების მასწავლებლებს, დარგის ექსპერტებს, დამსაქმებლებს, ყველა დაინტერესებულ პირს.
ვერიფიკაციის შედეგებიდან გამომდინარე იწერება დასკვნა. დაწესებულება დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, სადაც აისახება ყველა ის განსახოციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემური საკითხების გადასაჭრელად.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცია (სააფთიაქო)", ფარგლებში დაწესებულების მიერ ვერიფიკაცია ჩატარებულია 2025 -2026 სასწავლო წელს, ჯგუფის მიერ. ვერიფიკაციის დასკვნაში ასახულია ჯგუფის რეკომენდაციები.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.
კოლეჯის დადგენილი რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები დაცულია და ინახება, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ, შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში. შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება, რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისებს, ინახება მუდმივად.
ვიზიტის პერიოდში, ექსპერტების მიერ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოები. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.
პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯის შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება (შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით) სწავლის პროცესის შეფასებაა და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება.
პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასაწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აქტიურად იყენებენ კონსულტაციებს.
ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება;
2. პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოები, შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები;
3. ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

05.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: